



ნიგნი აღამიანური ეკონომიკის შესახებ

ბატონი გიორგი მონოგრაფიის „შესავალშივე შევავდ სვამს პრობლემას კაცობრიობის ცხოვრებაში მოქლი განვლილი ციფილიზაციების მანიფესტი სოციალური სამართლიანობის მიუღწევლის შესახებ. იქვე მიუთითებს, და სავსებით მართებულად, რომ მიუხედავად ამ პრობლემის გადაწყვეტით უდიდეს გონიერად დაკავებულობისა, სასურველი შედევისთვის მათ არასდროს მიუღწევიათ. საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდასთან ერთად, სოციალური სამართლიანობის პრობლემა სულ უფრო ღრმავდებოდა, მდიდრებსა და დარიბებს შორის ქონებრივი განსხვავება უფრო და უფრო კატასტროფული მასშტაბს იღებდა. ამისი ნათელი დადასტურებაა კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორია. დღისათვის, XXI საუკუნის დასაწყისში კაცობრიობა, შეიძლება ითქვას, „მშვიდად უცქერის“ მულტმილიონერებისა და მულტმილიარდერების გვერდით ასეულ მილიონობით (მილიარდზე მეტი) ადამიანის სიღატაკეს, მილიარდობით ადამიანის სიღარიბეს.

ბრძენი სოკრატეს მიერ შემჩნეულ პარადოქსებზე უფრო აუხსენებდი პარადოქსია ის, რომ კაცობრიობა, მიუხედავად ზიგ-ზაგისებური განვითარებისა, სწრაფად მიდის წინ საერთო პროგრესის გზით, სოციალური სამართლიანობის პრობლემა კი უფრო და უფრო მწვავდება. ჯერჯერობით, სოციალური სამართლიანობის თავდასახრისით, შედეგი ძალზე არასაკმარისია.

პლატონი და არისტოტელე ქმნიდნენ საზოგადოების მოდელებს, სადაც ყველაზე მდიდარი, ყველაზე დარიბს მატერიალურად 4-5 ჯერზე მეტად არ აღემატებოდა. დღეს ცალკეულ შემთხვევაში სხვაობა მილიონჯერადიც არის, ზოგჯერ თუ მეტი არა.

სრულიად სამართლიანად ამავილებს ყურადღებას ბატონი გიორგი იმაზე, რომ საზოგადოების ცხოვრებასი ყველაზე რთული პრობლემა არის განაწილება, რა თქმა უნდა, მატერიალური და სულიერი დოკლათის გონივრული გადიდების პირობებში (გვ. 10).

შესანიშნავად არის ნათქვამი: „ადამიანმა, ბუნების საოცარმა ქმნილებამ, თვითონ შექმნა ორი სამყარო“ (გვ. 10): პირველი – სიკეთისა და პროგრესისა, მეორე ის, რომელსაც კაცობრიობა მიჰყავს ჩიხისკენ, თვითგანადგურებისაკენ (გვ. 11). იგი აკეთებს დასკნას, რომ „ახლოვდება ჩიხური მდგომარეობა.“ უადგილო არ იქმნება აქ ამონარიდი რ. კ. ბალანდი-

ნის წიგნიდან „ასი უდიდესი გენია“ (რუსულ ენაზე): „გის აძლევს უპირატესობას თანამედროვე ფართო საზოგადოება? - ე. წ. მასობრივი კულტურის წარმომადგენლებს, პოპ-არტისტებს, მომღერლებს. ეს ფენომენი ნიშანდობლივია. ის გავს საზოგადოების მძიმე დაგვადების დიაგნოზეს.“ (დასახელებული წიგნი, გვ. 6).

თავიდანვე უნდა ვთქვა, გ. მალაშენიას წიგნს კაცობრიობის ისტორიაში 100 დიდ წიგნს შორის თუ არ ეკუთვნის ადგილი, იგი ას დიდ ეკონომიკურ წიგნს შორის, ჩემი ღრმა რწმენით, უთუოდ შეიძლება დასახელდეს.

ავტორი მიუთითებს, რომ „უმნიშვნელოვანესი სფერო, სადაც ნათლად ვლინდება კაცობრიული ცხოვრების წინამდებარებანი და მანკიურებანი არის ეკონომიკა“. ამიტომ აკეთებს დასკვნას: „პირველი რიგის ამოცანა ის გახდეს ჭეშმარიტად ადამიანური, სამართლიანი და ზნეობრივი, ბოროტებისგან თავისუფალი“. ჩიხში შევიდა ადამიანის ურთიერთობა ბუნებასთან, რომელიც ბუნების სიმძიდრის და მოწყალების სანაცვლოდ, ხდება უგუნური და დაუნდობელი (12). ბატონი გიორგი ფიქრობს, რომ თანამდროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში არ ჩანს კაცობრიობის მანკიურებებისაგან გასათავისუფლებელად შემდგომი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა. აქ შეიძლება დაგიმორწმოთ დიდი ბიზნესმენისა და ეკონომისტის, საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ცნობილი იდეოლოგის ჯ. სოროსის მოსაზრება: „აუდაგმავი კაპიტალიზმი უფრო დიდი საფრთხეა კაცობრიობისთვის, ვიდრე ტოტალიტარული კომუნიზმი“. სოროსიც და გიორგი მალაშენიაც ობიექტურად იძულებული არიან რეალობას თვალი გაუსწორონ და იფიქრონ და სხვებსაც ჩააგონონ საზოგადოების უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის აუცილებლობა. ეს იყო, არის და იქნება სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებათა და მათ ღირსეულ წარმომადგენელთა დიდი ამოცანა, რომელთა შორის, ჩემი ღრმა რწმენით, ბატონ გიორგის ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკუთვნის.¹ ასეთ შეფასებაში, ვფიქრობ, დამეო-

¹ საბედნიეროდ, მაღალი ღონისა და ფართო მასშტაბის მეცნიერ-ეკონომისტები კიდევ არიან საქართველოში. მათზე, რა თქმა უნდა, აქ არ ვისაუბრებ. მაგრამ არ შემძლია არ დავასახელო, ჩვენან უდროოდ წასული, ბატონი თამაზ ჩიგვაიძე, რომლის შემოქმედება ღრმად შესწავლას და სათანადოდ დაგისტიბის საჭიროებს. იმედია, ქართული ეკონომიკური მეცნიერება ამას გააკეთებს.



ანხმება ყველა, ვინც ბატონი გიორგის მეცნიერულ შემოქმედებას კარგად იცნობს, რომელიც გარკვეულწილად რეზიუმირებულია წიგნში, რომელსაც აქ განვიხილავთ.

ბატონი გიორგი, მხოლოდ იმ ეკონომიკურ სისტემას თვლის პროგრესულად, ცივილიზებულად, რომელიც „სიკეთის, კეთილდღეობის მატარებელია ყველასათვის და არა მოსახლეობის ცალკეული ფენისათვის...“ (გვ. 12).

მკონომიკური და სოციალური ურთიერთობების პრობლემები ნაშრომში განხილულია საერთო საკაცობრიო ფასეულობებთან კავშირში. ამ ასპექტით განიხილება პუმანურობის საზომები, კაცობრიობის იდეალები, ისეთი საზოგადოების შექმნის პერსაპეტივები, გზები, რომლებიც პასუხობენ ყველა ქვეყნის ხალხების მისწრავებებს. აგტორი ხელმძღვანელობს ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის დიდი ფილოსოფოსის პროგრამობას მიერ შემოთავაზებულ დებულებით, რომ ადამიანი არის ყველაფრის საზომი და თვითმიზანი სოციუმში (გვ. 13). იგი აკეთებს დასკვნას, რომ „ადამიანის განვითარების დონეზე, მის ინტელექტზე არის დამოკიდებული ეკონომიკის, კულტურის, პოლიტიკის და ა. შ. მდგრამარება“ (გვ. 13). იქვე ხაზს უსვამს უპაკავშირებს (რეფლექსურობას) - ეკონომიკის უპარმოქმედებას განვითარების მიმღინარეობაზე, ადამიანისა და მის მიერ შექმნილი ობიექტური გარემოს, მოვლი გარესამყაროს ურთიერთომოქმედებას (გვ. 14).

თანამედროვე და მით უმეტეს ადრინდელი, საზოგადოებების, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების პროგრესულობას, პუმანურობას ავტორი იხილავს სამართლიანობის თვალსაზრისით და ანალიზის შედეგად აკეთებს დასკვნას, თუ რატომ არ იქნებოდა სწორი კაცობრიობის განვლილი ისტორია და დღევანდელობა შეგვეფასებინა, ისეთ სისტემად, როგორსაც იმსახურებს მაღალგანვითარებული საზოგადოება, პროგრესული კაცობრიობა.

ავტორი საზოგადოების სრულყოფის, დირსეული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის აშენების აუცილებელ პირობად თვლის ადამიანის განთავისუფლებას პირველ რიგში ეკონომიკური ადამიანის თვისებებისგან, რომელიც ძირითადად მოტივირებულია საქმიანობის კომერციული ინტერესებით, პატივმოყვარეობით, ქედმაღლობით (როგორც ცნობილია, ქრისტიანულ რელიგიაში ადამიანის სწორება ეს თვისებები ითვლება დიდ ცოდვებად). მისი აზრით, მიზანი უნდა იყოს ადამიანის გადაცევა ნამდვილ ადამიანად. თანამედროვე ადამიანთა, რომელთაგან ბევრი ყოველგვაარ სისაძაგლეს

ჩადის თავისი მიზნის, მათ შორის ანგარებითის, დასაქმაყოფილებებიდან, ადამიანურ ადამიანად გადაქცევა. შესაბამისად, საზოგადოების, ყველა სფეროს, მათ შორის ეკონომიკის, პუმანიზაცია არის თანამედროვე და მომავალი თაობების უპირველესი და უმნიშვნელოვანეს მიზანი და ამოცანა. ამის შემდეგ, აგტორის აზრით, ყველაფერი თავის ადგილზე ლაგდება (14). თუმცა, ყოველივე ეს ძალზე როგორია და სწორებ ამისი დადასტურება საზოგადოების განვითარების მთელი ისტორია. მაგრამ მანაც ეს ავტორს შესაძლებლად მიაჩნია. მისი აზრით, ეს იქნებოდა რევოლუცია კაცობრიობის ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებით, გიორგი განასხვავებს ნებატიურ და პოზიტიურ რევოლუციებს. ინგლისის, საფრანგეთის ბურჟუაზიული, აგრეთვე, გ.წ. სოციალისტური რევოლუციები, რომლებმაც შეიწირეს ადამიანების უზარმაზარი რაოდენობა და თაობები აქციეს უბედურად, დაამახინჯეს ისტორიის ნორმალური მსვლელობა ნიეკუთვნება პირველთ. თუმცა, იქვე შენიშნავს, რომ ეს რევოლუციები იყო ისტორიის მანკიერებაზე რეაქცია, ძვირად რომ დაუჯდა კაცობრიობას. პარალელურად იხილავს პუმანურ მშვიდობიან რევოლუციებს, რომლებიც თითქმის უმსხვერპლოდ განხორციელდა, ამავე დროს, ძირული თვისებრივი ცვლილებები მოახდინეს ადამიანის შეგნებაში, მეცნიერებაში, ტექნიკაში, მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეთი იყო მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუცია, რევოლუციური ნახტომები შემეცნების, კულტურის, აზროვნების სხვადასხვა სფეროში.

ჭეშმარიტად მიგვაჩნია ის, რომ საერთოდ განვითარება არ არსებობს წინსვლა-უკანსვლის, თანმიმდევრობისა და ნახტომების, შემთხვევითობებისა და აუცილებლობების ისტორიული ზიგზაგების გარეშე.

აქვე ავტორი აკრიტიკებს ყოველგვარი რევოლუციის უარმყოფელებს, რომლებსაც ისტორიის მსვლელობის ლოგიკა არ ესმით, რაშიც მას ვეთანხმებით. ბატონი გიორგის მიხედვით, კაცობრიობას აქვს მნიშვნელოვანი რესურსები ძირული პროგრესული ცვლილებებისთვის. ეს საზოგადოების მოწინავე ინტელექტუალურ-ელიტური ნაწილია, რომელიც ყოველთვის მისდევდა და იცავდა ცხოვრების ყავლაგაუსვლელ ფასეულობებს – სიკეთეს, ჭეშმარიტებას, ზნეობრივს, სამართლიანობას, პატიოსნებას, ზომიერებას, მშვენიერებას, როგორც ცხოვრების მოწინების საფუძველს. კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი ყოველთვის მისდევდა ამ ფასეულობებს.



პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ უველა ადამიანმა შეიგნოს და გაითავისოს ეს ფასეულობანი და გაიხადოს ის სახელმძღვანელო იდეებად, პრინციპებად. კაცობრიობის მიერ განვლილი მთელი გზა ძირითადად იყო გზა პროგრესისაკენ, მაგრამ ისტორიის სიმკაცრის გამო, ის სამართლიანობის, ზნეობრიობის თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანების რაოდენობით, მათ მიერ საზოგადოებაში მოპოვებული შედეგებით არ გვანებივრებდა.

რაც შეეხება კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპს, ბატონი გიორგის შეხედულებით: „აშეარად შეინიშნება ცივილიზაციის კრიზისი, განსაკუთრებით „საბაზრო ცივილიზაციისა“”, სულ უფრო ცხადი ხდება იმის მიზანშეუწონილობა, რომ საზოგადოება ცხოვრობდეს ბაზრის განონებით. ამ კანონების მოქმედება უნდა შეიზღუდოს ზედმიწევნით საბაზრო სფეროთი. უნდა იქნეს გაცნობიერებული საბაზრო ურთიერთობების ისტორიული ხასიათი. ცხოვრების სხვადასხვა სფეროების - ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის, ეკოსფერის, მორალის და ა. შ. ურთიერთგადახლართვა ქმნის საშიშროებას პროგრესისა და ცივილიზაციისთვის.

უფრო მეტიც, აგტორის აზრით, ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების მანკიერებათა აღმოფხვრის თანამედროვე შესაძლებლობანი არ არის გამოყენებული. მისი დასკვნით: „ცხოვრება თანამედროვე მსოფლიოში არაფრით არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც ადამიანის დირსებების შესაბამისი“ (გვ. 17). ამასთან, აგტორის აზრით, „საბაზრო ეკონომიკა თვით, თავისი განვითარების ლოგიკით ამზადებს ნიადაგს უფრო სრულყოფილი, ჰუმანურ სისტემაზე გადასასვლელად“ (გვ. 18). აქ მთავარი როლი უნდა შესრულოს ეკონომიკური ადამიანის მეტამორფოზმა, გარდაქმნამ ადამიანურ ადამიანად“ (18).

აგტორის აზრით, ასეთი ცვლილებების ძირითადი პირობაა კაცობრიობის მიერ დაგროვილი ინტელექტუალური და სულიერის (ზნეობრივი) პოტენციალი.

არცერთი კეთილი ნების ინტელექტუალური ადამიანისთვის არ უნდა იყოს სადაცვ ბატონი გიორგის მოსაზრება, რომ: „ზნეობრიობა და სამართლიანობა - უმაღლესი ფასეულობებია“ (გვ. 18), რომ სამართლიანობის ფორმულა მარტივია: ყველა უნდა ღებულობდეს კურგნილ სიკეთეს (დოკლათს), არავინ არ უნდა იღებდეს იმას, რაც არ ეკუთვნის, არაკუთვნილს, დაუმსახურებელს. ასეთი პრინციპით ხე-

ლმძღვანელობა მიაჩნია ბატონ გიორგის ჭეშმარიტებისაკენ, სამართლიანობისაკენ, ადამიანური ეკონომიკისა და ცხოვრებისაკენ მიმავალ გზად. მაგრამ ამ ფორმულის რეალიზაცია, სასურველი დონით, ხარისხით კაცობრიობის მთელი განვლილი ისტორიის მანძილზე შეძლებელი აღმოჩნდა, აქეთაენ გზა - მეტად როული და გაწელილი. მას უახლოვდება კაცობრიობა, მაგრამ ძალიან ხელა, დაჩქარების აუცილებლობა, აშკარაა. ბატონი გიორგის აზრით, მასზე იქნება დამოკიდებული ახალი ცხოვრება, ახალი ეკონომიკის დაფუძნება (გვ. 19). ჩემი დრმა რწმენით, იგი სავსებით სამართლიანად მიიჩნევს თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების, საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ უველაზე მთავარ მანკიერებად დოგლათის განაწილების მანკიერ სისტემას. ამიტომ გვთავაზობს მისი მექანიზმის მანკიერების საფორელთაო გაგებას, განაწილებისა, რომლის მეშვეობით ერთნი იღებენ დაუმსახურებელ შემოსავალს, მეორენი (დიდი უმრავლესობა - გ. ყ.) ვერ ღებულობენ კუთვნილს. ავტორის აზრით, ეს ჯემნის ერთ-ერთ უველაზე საშიშქაოსს, წინააღმდეგობას კაცობრიობის ისტორიაში, რაც დღემდე ბატონობს. ცხოვრების დიალექტიკა იმაშია, რომ უველაფერი ეს არ შეიძლება იყოს და არც იქნება მარადიული (გვ. 19).

ვფიქრობთ, რომ მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური განვითარების მიღწეულ დონეზე, სამსართულიანი განაწილების შემთხვევაში, დედამიწის მოსახლეობას მთლიანად და ცალკეულ ქვეყნებშიც (გამონაკლისის გარდა) სხვადასხვანაირად კარგად, მაგრამ ნორმალურად შეუძლია იცხოვოს. მაგრამ, როდესაც ზოგიერთ ქვეყანაში უველაზე მდიდარი 10% უველაზე ღარიბ 10%-ზე 100-ჯერ და მეტადაც მდიდრულად ცხოვრობს, ხოლო ათასობით უმდიდრესი ადამიანი მსოფლიოს მაგალითზე დატაკ ადამიანზე მიღიონჩქერ და მეტ სიმდიდრეს ფლობს, რომელ სამართლიანობასა და ზნეობაზე შეიძლება საუბარი. სამწუხაროდ, ასეთია კაპიტალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების შედეგები დღემდე.

უფრო, რომ შემოვიზდულოთ და სიმდიდრის ფლობა მხოლოდ ინტელექტუალური წრის ფარგლებში განვიხილოთ, აი, რას დავინახავთ: მსოფლიოს უდიდესი გენიოსები - ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდი ასი გენიოსიდან, ყველაზე დიდი ასი მოაზროვნიდან, ყველაზე გზნიალური 100 წიგნის ავტორიდან არცერთი არ ყოფილა მიღიონერი (თუ ვინმე მონახავს ერთ



ఈ తర్వాత, ఒక గామినొక్కలోసాడ కొంతవిల్యుబా డా అరా జాన్‌చోమిహీర్యేబాడ); బెండ్లం తిప్పమిస య్యెల్లా గాన్‌గితార్యేబ్యుల్ క్యెపాన్‌శి ఆసందిత కొంపమండ్- ఏరాల్చి డా అర్థిసెట్రి మ్యుల్‌బిమిల్‌ఓంక్యేర్చించా, రాజు శ్యేఖ్‌బా బెండ్లంగ్‌బాస వార్క్‌స్క్యుల్‌ష్యెబ్స, అథ మిశ్రింగ్ క్యెబ్‌బా మాల్చించ „మధింద్రఘో“ వారం. త్యాగి విన్‌మ్యు మ్యుట్‌ప్పుస, రంధ్ర మ్యె బెండ్లంగ్‌బాస విన్‌భాద్రమండ్‌ఎగ్చి వార్, అంది బాధ్యంబా, ఆంరింజిం, మ్యె నిమిసి విన్‌భాద్రమండ్‌ఎగ్చి వార్, రంధ్ర డండ్యెస, కార్పుథంచ్‌బా, శాండ్లించిన్‌బా, కొరా- జింశ్విల్‌బా, కొవార్చించ్‌బా డా మర్వాగాల్ లెవ్‌భె ఉఫ్రం మ్యెగ్రి కొంప్‌యుల్‌అంపిత సార్చుగ్‌బ్లండ్‌బ్యెబ్ జ. ఫి. కొంపమండ్‌ఏర్‌ల్యుబి. రాజు క్యోద్యు ఉఫ్రం సాం- ప్రార్చి డా ఉసామార్టింట్‌బా, మాత మ్యెగ్రి డాఫాస్‌బ్యెబ్‌చా ఎంచ్‌త. రా త్యమా శ్యుండా, మాత తాగ్వింస్‌తి అంగించ్- ఎంచ్‌త బెండ్లంగ్‌బాశి, మాగ్రామ లెంప్‌ర్యుగ్ ఒక అంగించ్- ఎంచ్‌త శ్యుండా మ్యోజ్‌ట్‌గ్ంబ్‌ంట డా అంది ఒక, రాజు శ్యూండా- ఒం..

სრულებით არ მინდა გადავაჭარბო ნაშრომის შეფასებაში, თუმცა, ძალიანაც რომ მინდოდეს, ამას, აღბათ, ვერ მოვახერხებ, იმდენად დირექტულ და ორიგინალურ ნაშრომთან გვაქვს საქმე. ავტორს არა მარტო შევყავართ ცნობიერების, შესამეცნებელი მოვლენების, ობიექტების უსიერ ტეკნიში, არამედ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იგი გვაწვდის საოცარ ინტელექტუალურ საზრდოს, ზღვა მასალას, ორიგინალურ, ავტორისეულ იდეებს, შეფასებებს, დებულებებს, დასკვნებს და ამით ძალუმად გვიძინებებს ახალ-ახალი შემეცნებითი პორიზონტებისკენ. იქვე უწვევებს ან მიანიშნებს გზებს უფრო ღრმა აზროვნებისკენ, ერთდროულად გვთავაზობს ახალ შესამეცნებელ მოვლენებს, ობიექტებს და შემეცნების მეთოდებსაც, გვაცნობს პრობლემაზე მკვლევართა მიერ მიღწეულ შედეგებსაც. ამასთან, მისეული მიღვომა, ხედვა, კალევის მეთოდი სრულიად განსხვავებული, ნოვატორულია და, ამდენად, კრიტიკულადაც განგვარუობს მათ მიმართ, გვიპიძებებს თვითონ ვიფიქროთ, ვიაზროვნო მის მიერ წამოწეულ პრობლემებზე, ცდილობს გაგვიხადოს თანამოაზრე, შემეცნების პროცესის თანამონაწილე, შესაძლებლობების ფარგლებში, გამოგვამზეურებინოს საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალიც. ამასთან, კვლევის პროცესში იგი სათავეს უდებს ახალ-ახალ აზრებს, მიღვომებს, მიზნებს უსახავს მთელს კონომიკურ მეცნიერებას.

ერთი შეხედვით, მკიოთხველს შეიძლება მოეჩვენოს, თითქოს ავტორის შეხედულებები, აზრები ნაკლებად რეალურია, იძდენად მაღალ მატერიებზე და იდეებზეა მსჯელობა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ვინც დრმად ჩაუფიქრდება წიგნში გამოცემულ აზრებს - საოცარი აზროვნების წინაშე ადმონხნდება, მა-

გრამ ამის გასაგებად, აღიარებისათვის აუცილებელია ბ-ნი გიორგის ფორმულის - „ადამიანური ადამიანი“ პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, მკითხველი, შემფასებელი იყოს „მეცნიერული მეცნიერი“, ჰეშმარიტების მაძიებელი მოაზროვნე, რასაც მეცნიერება მეცნიერისგან მოითხოვს, და არა მეცნიერის მანჩიის ფორმალური მატარებელი.

წიგნის არსებითად შესასწავლად და შესაბამისი შეფასების გასაკეთებლად დიდი შრომა, უნარი და დროა საჭირო. ეს ნაშრომი არის ფაქტოურად რეზიუმე, ბატონი გიორგი მალაშების ნახევარსაუკუნოვანი ინტენსიური მეცნიერებლი მუშაობის გარკვეული შეჯამება. აქ ეშირად აზრები თეორების სახით არის გადმოცემული, რომელთაც არა მხოლოდ თვითონ ასაბუთებს, არამედ მკითხველსაც ხდის თანამონაწილედ. ეშირად აზრები ისეთი განმაზოგადებელი თეორების ხასიათისაა, რომ უნებდინედ, ინტეცურად გაგონდება დიდი ბერძენი ფილოსოფიასისა და მათემატიკოსის პითაგორას თეორება, საიდანაც მათემატიკოსებმა დღემდე ხუთასზე მეტი თეორება მიიღეს და დაამტკიცეს, ძიება კიდევ გრძელდება. ისიც მართალია, რომ ყველა მეცნიერებაში, მათ შორის, ცხადია, ეკონომიკურშიც, ღრმა აზრი ახალ აზრებს პატივისას, რომელთაც დასაბუთება სჭირდება. ასეთ ნაწარმოებად ეკონომიკურ მეცნიერებაში პირადად მე სწორედ ბატონი გიორგის ეს წიგნი მიმაჩნია.

ვფიქრობ, ზემოთ ნათქვამში დამეთანხმება პრობლემით დაინტერესებული ყველა ობიექტური, მიუკერძოებელი, სათანადო დონის მკითხველი, კინც ნაშრომს ღრმად გაეცნობა.

ასეთი ოქორიულ-მეცნიერული ღირებულება
ის მქონე ნაშრომის წაკითხვის შემდეგ, ბუნებრივია მკითხველს დაებადება კითხვა დღეს წიგნის ბაზარზე არსებული ეკონომიკური ლიტერატურის ავ-კარგიანობის შესახებ. მე, როგორც ქართული ეკონომიკური მეცნიერების გულშემატკიცარს, ძალიან მაწუხებს ეს პრობლემა. დარწმუნებული ვარ, ჩემზე არანაკლებად აწუხებს ბევრ ეკონომისტ-მეცნიერსა და პვალიციციურ სპეციალისტს, რომ საქართველოში გამოცემული ეკონომიკური ლიტერატურის დიდი ნაწილი, თუ უდიდესი არა, მინიმალურადაც ვერ პასუხობს მათზე მოთხოვნის გიჩნდება აზრი, რომ სწორედ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში, სადაც მთავარია ჰემარიტების ძიება, დაუფლება და ზეპირად თუ წერილობით თაობებისათვის, საზოგადოებისათვის გადაცემა, უნდა დამკვიდრდეს წესრიგის უზენაესობა, რაც ჯერ ჯიდევ მე-7 საუკუნეში



სოციალური ეპონომიკა
XXI საუკუნის აქტუალური პრიბლებები. №2

ჩვენს ერამდე გვიქადაგა დიდმა ბერძენმა ბრძენმა სოლონმა, – საზოგადოებას მიეწოდს მხოლოდ ის ინტელექტუალური საზრდო, რომელიც მისთვის სარგებლობის მომტანია. ამ ჭეშმარიტებისთვის ხაზგასმა შთამაგონა ბატონი გიორგი მალაშენიას წარმოდგენილმა წიგნმა, რომლის მეტ-ნაკლებად შესადარი ნაშრომების რაოდენობა, სამწუხაროდ, უკიდურესად შეზღუდულია ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში. ამ დროს ბაზარი გავსებულია მდარე დირსებების მქონე და ზოგჯერ, სრულიად უსარგებლო წიგნებით. მაგრამ ყველაფერი მუქ ფერებში არ უნდა წარმოვიდგინოთ. მეცნიერული ხარისხით წიგნების აღნიშნულ უკიდურეს პოლუსებს შორის სიკრცე, საბედნიეროდ, უკა-

ვია, ნორმალური დირებულებების მქონე ინტელექტუალურ პროდუქციას, თუმცა ეს ფაქტი ვერ ამართლებს წიგნის ბაზარზე არსებულ დღევანდველ, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობას.

ყოველივე აღნიშნულის ფონზე, ბატონი გიორგი მალაშენიას წიგნი: „ადამიანური ეპონომიკა, ეკონომიკურ-ფილოსოფიური დისკუსი, II პროგრესი და გადარჩენა, ადამიანი გზაშესაყარზე”, მიმაჩნია ქართული ეკონომიკური ლიტერატურის, და არა მარტო ქართულის, დიდმიშვნელოვან შენაძენად.

გურამ გუგუნია